№ 161
ხუთშაბათი, 27 ივლისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 161
ხუთშაბათი, 27 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## წმ. ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900—1901 სამოსწავლო წელს ქ. თელავის **წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში** ახლად შემსვლელთ, ვაკანსიების მიხედვით, მიიღებენ მხოლოდ მოსამზადებელ განყოფილებაში.

თხოვრები და ყველა საჭირო ქაღალდები გამგეობის კანცელარიას უნდა წარუდგინონ არა უგვიანეს 16 აგვისტოსი, ხოლო ის ქალები, რომელნიც შესვლას აპირობენ, ეგზამენი ათვის უნდა გამოცხადდენ 24 და 25 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს, დილის 8 საათზედ. მიიღებენ ქალებს კონკურსით.

განმეორებითი ეგზამენები მოხდება 23-დგან 28 აგვისტომდე. ხოლო სწავლა 4 სექტემბერს დაიწყობა.

ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ სწავლის ფასი როგორც პანსიონერებისა და ნახევარ პანსიონერებისა, აგრეთვე გარედგან მოსიარულეთა სრულად უნდა იქმნას შეტანილი: წლის პირველ ნახევრისა—1 სექტემბერს, ხოლო მეორე ნახევრისა—10 იანვარს (პანსიონერებმა—90 მანეთი, ნახევარ პანსიონერებმა 45 მან. და გარედგან მოსიარულეთ—15 მანეთი.

ახლად შემსვლელთ, ეგზამენების დაჭერის შემდეგ, ფული დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანონ.

სომხურის ენისა და მუსიკის სწავლებისათვის ცალკე სასყიდელია.

ის მოსწავლენი, რომელთა სწავლის ფასიც დროზედ არ იქნება შეტანილი, სასწავლებლიდგან გასუფთავ იქმნებიან ჩათვლილნი.

(2—უ—1)

## ფოთის საბუღალტერო კურსები

ქ. გიგინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამები გაეგზავნება მუქთად.

(15—6.—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეებს გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## სახაფხულო თეატრი

(მიხეილის პროსპექტი („სობრანიის“ პირდაპირ)

ხუთშაბათს, 27 ივლისს, სახალხო კითხვათა კომისიის მიერ აგებულის ქუჩაზედ მყოფ სახალხო წარმოდგენათა სცენის შესაკეთებლადა და გასაუმჯობესებლად

გამართულ იქმნება

საღამოს 5 დგან 8 საათამდე

**ბავშვებისათვის დღესასწაული**

ბაღში შემსვლელს საჩუქრის მიღების უფლებით გადაჰხდება 30 კაპ., ხოლო უსაჩუქროდ—15 კაპ.

II

საღამოს სრულ 9 საათზედ გაიმართება წარმოდგენა

## „ქორჭ დანდენი“

სამ-მოქმ. კომ. მოლიერისა.

საკონცერტო განყოფილების დასასრულ მონაწილეობას მიიღებს გ ნის კ. ს. ცხომელიძის მიერ ახლად შედგენილი ხორო.

ფასი ადგილებისა 2 მან. და 10 კაპ. 20 კაპიკამდე.

(1—უ—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**შ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12½—1½ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს.

გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ექიმი
## ნიკო ერისთავი,

**რეუტოვის ქუჩა**, № 16, ქ. ტფილისში, იღებს **ნერვებისა და შინაგან** სნეულებითა **ავადმყოფთ** (გულის, ფილტვების, სტომა-

# ფელეტონი

***

საღამოა. ლაჟვარდ ცაზედ,
ვარსკვლავთ შორის, ბადრი მთვარე
მეფურად ჰზის და მის შუქზედ
ოქროს ფრად სჩანს არე-მარე.
აგერ ტურფა დარბაზის წინ
დიდი კაცი დასეირნობს,
„ძირს მევბრწყინავ, მაღლა—მთვარე“,
განცხრომის ძე ასე ჰფიქრობს.
მას გვერდით-კი დამშეული
ხალხი ჰკვნესის, იტანჯება,
მაგრამ იგი ამისათვის
სულაც არ სწუხს, არ ღონდება...
ან-კი რისთვის დაღონდება,
თითონ მუდამ მაძღარია,
მაძღრისთვის-კი სხვის შიმშილი
გ სართობი ზღაპარია.

ვ. რუხაძე

## გარდაბანისა და გაჩიანის საერისთაონი და მათნი ნაშთნი

„Да! еслибы всѣ слезы, кровь
и потъ,
пролитые здѣсь...
Изъ нѣдръ земныхъ всѣ выступили вдругъ,
то былъ-бы вновь потопъ“.
Пушкинъ

(დასასრული *)

მე. ალგეთის ხეობა, ანუ მელი საბარათიანო, (სომხეთი).

ეს ხეობა წალკას ჩრდილოეთით დასწევს ზენდერის მთას გვერდი-გვერდ და იშლება ბაიდარის ვაკეზედ ჰაიალლუჯასთან. ხეობა თავში ვიწროა. იქ მოთავსებულა მანგლისი, რომელსაც ბევრი ვაება უნახავს და რომელიც ძალიან ძველთაგან არის დაშენებული. ეკკლესია-კი მანგლისისა აღაშენა საბერძნეთის მეფემ კონსტანტინემ მირიან მეფის დროს. ამ ეკკლესიაში კონსტანტინეს მიერვე იქმნა დასვენებული ფეხის ფიცარი ჯვარზედ კიდებულ იესო ქრისტესი. შემდეგში გახდა ეს ეკკლესია მანგლელ ეპისკოპოსთა კათედრად. ეკკლესიის გუმბათზედ სამხრეთით გამოქანდაკებულია მაჰმადი, ლომზედ მჯდარი. ეს იყო მიზეზი, რომ ლანგ-თემურმა თავის აქ მყოფობის დროს არ შემუსრა ეს ეკკლესია. ამან დასწვა ქვაბთახევის ეკკლესია მრავალ ბერებთან და ხალხთან ერთად, დაანგრია სვეტი-ცხოველი ცხეთისა, ოთხჯერ მოატრიალა ცეცხლი და მახვილი საქართველოზედ და ამ სიწმიდეს კი ხელი არ ახლო.

„ლანგ-თემურს თვისის კოჭლობისათვის
ჰსურს მთელის ქვეყნის შურის ძიება,
რომ დააკოჭლოს ყოველი ერი,
რომელზედაც-კი ჰსმენია ქება“.

სამართლიანად ამბობს აკაკი ამ სისხლის მსმელის შესახებ, რომელსაც მწარედ ებრძოდნენ გმირი მეფე გიორგი და შვილი მისი ბაგრატ... მე-XIII საუკუნიდგან იქმნა მანგლელ ეპისკოპოსთა კათედრის გაუქმება, ხოლო ამ სამწყსოსაც ამ ჟამიდგან ჰმართავდნენ თბილელი ეპისკოპოსნი. შესანიშნავი მანგლელ ეპისკოპოსთა მიტრა წაიღო მოსკოვს მეფე არჩილმა 1681 წ. ეს მიტრა ნაკეთებია რუსუდან დედოფლის დროს (1223—1242 წ.). მიტრაში იდვა ლურსმანი, რომლითაც იყო მიმსჭვალული იესო ქრისტე. ესეც კონსტანტინე დიდმან მიართვა მირიან მეფეს ძღვნად 318 წ. აი ეს ეროვნული სიწმინდენი დღეს მოსკოვის მიძინების ტაძარში ინახება.

ჯამჯამის და ერჯევნის მთებიდგან ერთი მთის ტოტი ცალკე გადის სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ; როცა მანგლისს უახლოვდება, აღმოსავლეთისაკენ ბრუნდება. აქ ამ მთასა და ზენდერს მოუმწყვდევიათ ალგეთის ხეობა. დამხარდამხარებული ეს მთა ზენდერის მთასთან, იმის პირდაპირ, სადაც ზენდერი სწყდება, იყოფა ბევრ ტოტებად და ისე ჩამოდის კოჯრამდე და თბილის მთაწმიდამდე. ამ მთის სიმაღლეზედ გამწკრივებულა სოფლები: თონეთი, დვალია, პრიუტი, ლოლოვანი და ბოლოს კოჯორიც. ზედ მთაზედ მანგლისის გზატკეცილია გაწოლილი, რომელიც, რაკი პრიუტს დასცდება, ცალ მხარეს დასცქერის ვერის ხეობას, მხოლო მეორე მხარეს ალგეთის ხეობას. ყველგან აქ მშვენიერი ცივი წყაროები, საუკეთესო ჰავა და საგარაკო ადგილებია ტყეებში. ტყეები უფრო მრავალ წლოვან პანტებისაგან შესდგება, ამიტომ ძველთაგან ამ უშველებელს ალაგს „მსხლიანს“ ეტყვიან.

მანგლისიდგან სამხრეთით, ცოტა-ოდნად წოდებულ გოხნარებიდგან, წალკის მხარეს ჩამოდის გუდარეხის ხევი, რომელზედაც ვახუშტი ასახელებს უგუმბათო მონასტერს. აქ მრავალია ეკკლესიანი; თვით აქ დასახლებულ მთიულთ სოფელ ახალსოფელში შეკეთებული შტატის ეკკლესია ძველი მშვენიერი თლილი ქვის ეკკლესიაა, რომლის გარშემო მრავალი ნანგრევი შენობანია, ზედ წარწერა-კი არა შენახულა რა. აქ აწყვია მრავალი საფლავის ქვა შესანიშნავის ნახატებით: ზოგ საფლავზედ შვილდ ბოძალია დახატული, რომელიც უჭირავს მძლავრ ქანდაკების მკლავს; ზოგ ქვაზედ ბერ-მონაზონის სამოსელში კაცის ჩონჩხია გამოქანდაკებული; ზოგი ჩაბნის იარაღიანი ქვებია; ზოგი გუთნის დედის იარაღითაა შეჩუქურთმებული. თუ ყოველი საფლავი თავის ქვეზე მდებ წოდების კაცს ასახელებს, მაშინ მრავალის ხელობისა და წოდების ხალხი ყოფილა აქ დაუცხოვრიათ. თრიალეთზედ ასეთი ქვები ბევრია, მაგრამ აქაური ნახატი მკაფიოა და საოცარიც. ამ ეკკლესიის ზევით თონეთელების ნასოფლობაშიაც არის ასეთივე ეკკლესია, რომელიც რუსებს დაუნგრევიათ, მაგრამ „ქვები თლილისა ისევ მოატანინაო“, ამბობენ აქაურები. ამ ეკკლესიას სვეტზედ შერჩენია წარწერა: საფლავის ქვები იქაც ისეთია და ესეც წაავგავს ვახუშტის თქმულ გუდარეხის მონასტერს. ზენდერის ბოლოს, კაკაანთ საოცარ კლდეებთან, მდ. ალგეთი ვიწროებს თავს ანებებს და ფართედ მიდის სოფ. ფარცხისზედ, ენაგეთზედ, არაშენდაზედ... თითქოს უშველებელი შაქრის თავებიაო, ისე დამსხდარან და დასცქერიან ალგეთს კაკაანთ მთის კლდეები. ამ მთებს ხან ქოროღლის მთებსაც ეძახიან. მათ გასწვრივ ალგეთის გაღმა სოფელი ჩხიკვთაა. ეს სოფელი ეხლა იქ არა მდებარეობს, სადაც უწინ ყოფილა ს. ჩხიკვთა. ჩხიკვთის ნანგრევები თლილის ქვის ეკკლესიებით იქვე მახლობლად ტყეშია. ამ ძველ ნანგრევებს მახლობლად არის უწინდელ დროს გამოთხრილი წყარო გმირ ნაგებთი. ფარცხნისიდგანა და ჩხიკვთიდგან იწყება ალგეთზედ ვენახები; მას ზემოთ-კი ალგეთზედ მარტო ხეხილის ბაღებია. კაკაანთ კლდეებიდგან გამოდის მდინარე ზვირთვის-ხევი და სადაც იგი ალგეთს ერთვის, იქ არის ეხლაც ნანგრევები ფარცხისის ციხისა. ეს ციხე იყო ფარიბართვისის ციხისა, რომელიც კოჯრის გადასწვრივ მოჩანს ნანგრევებად; აქედგან წამოდგარა სახელი ფარცხისი. ანაგეთს საძხრეთის მხრიდგან დასცქერის წინ-წყარო, ოდესმე მცირე ქალაქი. უკანასკნელ ხანებში ოოხრების გამო აქედგან ქართველობა

*) იხ. „ივერია“ № 160.

ქის სატკივარნი) დილის 9—11 საათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ბავშებს ავადმყოფთ.

(3—148—2)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს საჭიროდ უცვნია ამიერიდგან ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტსა და წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზედ მისაღებ მოწაფეთა შესახებ საჭირო ცნობანი ოჯახობისა, საზოგადოებრივ მდგომარეობისა და სიღარიბის შესახებ პოლიციამ-კი არ წარუდგინოს ხოლმე მთავარ-მართებელს, როგორც აქამდე იყო, არამედ თითონ მთხოვნელებმა, რადგანაც წინად ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ცნობებს აგვიანებდა პოლიცია და უფრო ღირსეულს მთხოვნელს ცნობების უქონლობისა გამო უარს ეუბნეობდნენ თხოვნაზედ. გარდა ამისა თხოვნა და ყველა ეს ცნობები უთუოდ პირველ მაისამდე უნდა იქმნენ წარდგენილნი. კანდიდატ ქალების შესახებაც იგივე ვადაა დანიშნული, რომ საჭირო ცნობანი მთხოვნილებისამებრ წარუდგინონ ხოლმე. ამის შესახებ დაწვრილებითი წესები მალე დაიბეჭდება ყოველთა საცნობლად.

*** საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ტ. ს. ქიქოძე აგვისტოს პირველ რიცხვებში საზღვარ-გარედ აპირებს თურმე წასვლას.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელის ბ-ნის როზის რწმუნებულს ინჟენერს ბ..ეაშს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქში თხოვნა წარუდგენია, რომ მამა დავითის მთაზედ, „განდეგილზედ“, ქალაქიდგან იქ მომუშავეებთან მოსალაპარაკებლად, რომელნიც ფუნიკულერის გაყვანასა და თეატრის აშენებას უკვე შეუდგნენ, ტელეფონი იქმნას გაყვანილი.

*** როგორც ხმა დადის, თელავსა და თიანეთს შუა ფოსტის გზას მალე თურმე გაიყვანენ.

*** მიმდინარე წელს შემოდგომაზედ განზრახვა თურმე აქვთ დონის როსტოვში შინაურ ცხოველების გამოფენა გაჰმართონ. ამ აზრით, მოსკოვის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტს თავ. ა. გ. შჩერბატოვს არაბეთში უმოგზაურნია და შეუძენია 20 საუკეთესო ჯიშის ცხენი, რომ მსურველთ შეიძინონ გამოფენაზედ.

*** თავისის აზრის გამოსათქმელად ჯეროვანს უწყებათ უკვე გარდაცემული თურმე აქვთ ეგრედ წოდებული სამოქალაქო სამსახურის ახალის წესდების პროექტი. ახალი წესდება უკვე არსებულ წესდებისაგან ბევრით განირჩევა. მინისტრებს, მაგალითად, ნება ეძლევათ მოხელეთა შტატის რაოდენობა თითონ გარდასწყვიტონ, რასაკვირველია, იმისდა მიხედვით, რა თანხაც წლიურადა აქვთ გადადებული; სამსახურში ხარისხის მიღება ამიერიდგან ამ წესდებით წელთა დამსახურებით აღარ იქმნება და მიეცემა რიგ-რიგით, მაგალითად, თუ ახლა რომელიმე ორდენი მიიღო, შემდეგ ხარისხს რასმე მიიღებს; ამასთანავე ზოგიერთი ხარისხი, მაგალითად, კოლეჟსკი რეგისტრატორობა, კოლეჟსკი ასესორობა და კოლეჟსკი სოვეტნიკობა სრულიად უქმდება და სხ.; შეცვლილია აგრეთვე პენსიების დანიშვნის წესი და სხ.

*** 25 ივლისის საღამოს მალაკნების ქუჩაზედ, კოჩეგაროვის სახლებში, საზიზღარი ბოროტ-მოქმედება მოხდა. აქ ერთს ოთახში, ზემო სართულში, იდგა ახალგაზდა ქალი დარია ჩურინა. იმის ოთახიდგან უცბად მოესმათ ყვირილი და შემდეგ კვნესა-კრუსუნი. შევიდნენ და ნახეს, რომ საბრალო ქალი გულაღმა ეგდო კარებთან და სისხლის მორევში სცურავდა. მკერდიდგანა, მუცლიდგანა და სხეულის სხვა ნაწილებიდგან სისხლის ნაკადული სდიოდა. აცნობეს ეს ამბავი პოლიციას და სასიკვდილოდ დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ ამ ქალს დასდევდა თურმე ლუდხანის პატრონი ალექსი დედიშარიანცი, რომელსაც იმ სახლში ჰქონოდა ლუდხანა, და არ ასვენებდა, ჩემთან უნდა იცხოვრონო, ქალი უარს იყო და არა ჰნებდებოდა. 25 ივლისსაც დედიშარიანცი შესულიყო ყმაწვილ ქალთან, როდესაც ის მარტო ყოფილიყო, და შეჰკითხებოდა, თანხმა ხარ თუ არა დამნებდეო. ჩურინას უარი ეთქვა და ეთხოვნა, გადი ჩემის სახლიდგანაო. ამ დროს დედიშარიანცს ამოეღო დანა და ათგან დაეჭრა ყმაწვილი ქალი. დედიშარიანცი დააპატიმრეს და გამომძიებელს გარდასცეს.

*** ს. პეტერბურგის ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში საკონკურსო ეგზამენები 16 აგვისტოსათვის არის დანიშნული. თავისუფალი ადგილი სულ 250 და მთხოვნელი 1,500-ია. გზათა საინჟინერო ინსტიტუტში გამოცდა 18 აგვისტოს არის დანიშნული. მთხოვნელი სულ 800-ია და თავისუფალი ადგილი-კი, სამინისტროს ადგილებს გარეშე, მხოლოდ 100. ამაზედ ცოტა გვიან სამთო ინსტიტუტში დაიწყება გამოცდა. მთხოვნელი 1,200-ია.

*** მოხისიდგან იწერებიან: „რადგანაც აქ სახაზინო ადგილები თანასწორად არ იყო დანაწილებული აღგილობრივ გლეხთა შორის, ბ-ნის მ. მაჩაბლის შეგონებითა და დახმარებით, შარშან სოფლის ყრილობამ დაადგინა მოეხდინა ადგილების ახალი განაწილება, მაგრამ ამ დადგენილების შესრულებას მხოლოდ ეხლა შეუდგნენ. საზოგადოებისაგან ამორჩეულმა 9 კაცმა უნდა გაჰყოს მთელი მიწა „ღირსებისა და სოფლიდგან სიშორის მიხედვით“ რამდენსამე ნაჭრად, რომლებზედაც მერე წილი უნდა იყარონ სოფლელებმა და ისე მიიღონ თავიანთი კუთვნილი ადგილი, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ამორჩეულ კაცების მოვალეობაა თვალ-ყური ადევნონ: რომ ყველამ მარტო მიზომილ ადგილით ისარგებლოს და გასყიდვასა და დაგირავებას ადგილი არა ჰქონდეს. ამისათვის შემოღებული იქმნება ცალკე წიგნი, სადაც აღნიშნული იქმნება,—ვის რამდენი და რომელი ადგილი შეხვდა.

*** გაზ. „მოსკოვსკი ვედომოსტი“-ს სწერენ შემახიდგან: „შემახის ახლოს რამდენსამე ადგილას ოქროს მადანი აღმოჩნდა. პირველი მიმგნები ამ მადნისა ერთი ტყის მცველი სომეხია; მან შეკრიბა ერთი ვედრო საეჭვო მიწისა და გაუგზავნა ერთს თავისს მეგობარს (ესეც სომეხია) ბაქოში; მეგობარმა გარეცხა გამოგზავნილი მიწა, რომელმაც ოქრო აღმოაჩინა, ამან დაუყოვნებლივ განცხადება შეიტანა სათანადო დაწესებულებაში და შემდეგ პეტერბურგში გასწია ოქროს მადნიან მიწის კარგად გამოსაკვლევად.

ოქროს მადნის აღმოჩენის ამბავი მალე გავრცელდა, თუმცა პირველი მპოვნელები ძალიან სცდილობდნენ საქმე საიდუმლოდ მოევლარებინათ. გაჩნდნენ შემახაში ოქროს მძებნელები, და არ გასულა ერთი თვე, რომ ოთხმა უბრალო სპარსელმა კიდევ სხვა ნახა ასეთი ადგილი და მიწა. ამათაც შეიტანეს, სადაც საჭირო იყო, განცხადება. ამ მეორე აღმოჩენამ ყველა დაარწმუნა, რომ პირველი აღმოჩენა შემთხვევითი არ იყო და რომ აქ მიწაში მართლა ოქროს მადანია. ასე რომ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილს „ნავთის წარმოებით გატაცების“ შემდეგ, ახლა „ოქროს წარმოებით გატაცება მოელის“, რომელიც პირველზედ უფრო ძლიერი იქმნება“-ო, სწერს ხსენებულის გაზეთის კორესპონდენტი.

*** ქიზიყი. წელს სიღნაღის მაზრაქიზიყში შარშანდელზედ ნაკლები ღვინის მოსავალი მოვა, რადგანაც გაზაფხულის დაყანებულმა წვიმებმა არ აწამლებინა ხალხს ვენახებისათვის და ბოლოს, დარიანობაშიაც აღარ უწამლა შაბიამანით მევენახეთა უმრავლესობამ იმ იმედით, რომ ობი არ უჩანდა; მაგრამ ამ ბოლო ხანებში დიდად დააზარალა ობმა ისეც სეტყვისგან დაზარალებული ვენახები.

*** სამშაბათს, 25 ივლისს, ნაშუადღევისს $5^{1}/_{2}$ საათზედ, პოლიციის მე 8 ნაწილში სიღნაღის მაზრის სოფ. კუკურიანის მცხოვრებს სიმონ ზაალის ძეს კოგოზაშვილს ერთი უბედურება შეემთხვა, რომელმაც თან გადიტანა. სიმონ კოგოზაშვილი კახეთიდგან ღვინოებს უზიდავდა ტფილისის ღვინით მოვაჭრეს ოსიპოვს. ამ დღეს, როცა პოლიციის მერვე ნაწილში არსენალის ქუჩის დაღმართზედ ჩამოდიოდა, კოგოზაშვილმა ვეღარ შეიძლო დატვირთულ ფურგუნში შებმულ ოთხის ცხენის შემაგრება, გადმოვარდა ფურგუნიდგან, ჩავარდა თვლებს ქვეშ და სასიკვდილოდ გაისრისა. ადგილობრივ პოლიციის მოხელის გამოძიებით, სიმონ კოგოზაშვილს ეს უბედურება თვისივე გაუფრთხილებლობით მოსვლია. მისი გვამი მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

*** ოთხშაბათს, 26 ივლისს, პოლიციის მესამე ნაწილში გამოცხადდა თელავის მცხოვრები ისააკ მიხეილის ძე გონიევი, დროებით დიდ ვანქის ქუჩაზედ მცხოვრები, და განაცხადა, რომ ჩემ შინ არ ყოფნის

---

კუკიაში და დიდუბეში გადასახლდა. ნაოხრებზედ ბერძნები დასახლდნენ. მშვენიერი ეკლესია შიგ შუა სოფელში დღესაც ქალაქში გადასახლებულთა მეოხებით მშვენიერდება, რადგან ისინი არ ივიწყებენ მამა-პაპის სალოცავს.

ს. ენაგეთის ბოლოში, მარნეულს ზემოდ, ალგეთს ერთვის ასურეთის ხევი. ამ ხევზედ ნაოხრებზედ ეხლა გაშენეიულია ნემეცების ახალშენი ასურეთი—თითონ-კი ელიზაველტალს ეძახიან, ე. ი. ელისაბედის მინდორს. უნებურად გემახარავება ეს სახელი, როდესაც ჩვენ მატიანეს ნაამბობს წარმოიდგენ აქაურობის შესახებ... ეს დიდებული მინდორი და მისი მიდამონი ბევრჯელ ყოფილა ქართველ გმირულ სარდლების გამარჯვების მოწმენი, აწინდელი სახელი-კი, ვგონებ, თვალით არ გეეცადოს ამ მიდამოთ... აქ წარმოებდა მარაბდის ომი და მრავალი სხვა... აი ერთი მაგალითი მაინც: 1483 წ. იაკუბ ყეინმა თავისი რაზმები სამცხიდან დმანისის ხეობაზედ ჩაატარა, ააოხრა სოფლები და დადგა ქანდარს. ქართველებმა ასურეთ მარნეულიდან შეუტიეს და საშინლად დაამარცხეს. გაქცეული და შერცხვენილი იაკუბ ყეინი დიდის ჯარით რამდენისამე წლით სამცხიდანვე ახლა ალგეთის ხეობაზედ წამოვიდა და მთა-მთა მიადგა კოჯორს. ქართველები ენაგეთისა და ასურეთს შეგროვდნენ წინანდებურადვე. იმათა სარდლობდნენ: სულხან ბარათაშვილი, თურმანიძე, ციციშვილი. საშინელი იერიში მიიტანეს მტერზედ და ამოჟლიტეს... ხეობანი ალგეთისაცა და ასურეთისაც ნემცებს ვენახებად უქცევიათ.

ძველად გათქმულ ციხე მარნეულს რო დაუხვევს მდ. ალგეთი, შეერთვის ქციას ს. სარვანთან. მარნეულის ნანგრევებზედ ათიოდე კომლი ქართველი და სომეხი-ლა მოსახლობს დღეს, მარნეულ ზემოთ ალგეთის მაღალ ნაპირზე არის ს. დურნუკი, რომლის ნანგრევებს 60 კომლი სომეხი შეჰხიზვნია. დურნუკი განთქმულია თავისის პურით. საზოგადოდ ალგეთის მთიანი ნაპირები მეტად კარგის ღირსების პურს იძლევა. ამ მთიან ნაპირებს, რომელზედაც წინწყარო, დურნუკი და მარაბდა მოთავსებულა, უწინ ეძახდნენ ლომთაგორას. აქა ჰბუდობდა თურმე მრავალი აფთარი.

მარნეულ ქვემოდგან იწყება იალღუჯას მთა, რომლის უკან სდევს კუმისის დიდი ტბა. ეს მთა რომ არ იყოს, შავ-ნაბადას მთიდგანვე უშველებელი ვაკე იქნებოდა ხუნანამდე, თრიალეთამდე... კუმისის ტბის გასწვრივ ჩრდილოეთისკენ მთის კალთებში გამწკრივებულა სოფლები: ლოუბანი, ბორბალო, ერტისი, ვაშლოვანი, კუმისი, ხატის თელეთი, შავნაბადა, კოდა და სხვანი... როგორც ეს სოფლები, ისე თითქმის მთელი ალგეთის ხეობა უკანასკნელ ხანებში სულ ცალიერი და ნაოხარი იყო. 1770 წელს, ამბობს უცხო მოგზაური გულდენშტეტი, დასახლდნენ ნანგრევებზედ კოდა, ვაშლოვანი, ენაგეთი და სხვ. ამ საუკუნის დასაწყისში კიდევ დასახლებულან ალგეთის სათავეში თონეთი, დვალთა, ლოლოვანი და სხვ... ქართველებთან ერთად ყველგან აქ სომხებიც დასახლებულან. მარტო ს. ლოუბანში ვერა ჰხეირობს თურმე სომეხი, „ხატი არ ყაბულობსო“, ამბობენ მკვიდრნი და ამიტომაც იქ სომეხი ვერა ჰბედავს მოსახლობას... შერეულად დასახლებისა გამო ნანგრევებზედ სომხებისა და ქართველებისა წარმოდგა ახლო ხანს სახელწოდება, ალგეთის ხეობისა სომხეთი...

ალგეთის ხეობის ბოლო ნაწილს მაღლიდგან დასცქერის ციხე აზეულისა, ანუ კოჯრად წოდებული—ესე არს თხემსა ზედა კლდისასა... ამ ციხის მახლობლად საჩინო ბარათაშვილმა ხელი ჰკრა და კლდეში გადაიჩეხა ქალაქიდგან მომავალი მამულის მოღალატე, ფლიდი ყორღანაშვილი, ამაზედ ქართველები დიდხანს ჰმღეროდნენ, „ყორღანოვი ქარა-ფრინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდაო“!.. ციხის მახლობლად იყო მეფეების საზაფხულო სასახლე. პირველად აქ ასეთი სასახლე აღაშენა როსტომ მეფემ და კოჯორი უწოდა...

როდესაც მტრობამ და საშინელმან სისხლის ღვრამ დააკნინა კახეთის სამეფოცა და ქართლისაც, სხვებისაგან წაქეზებულმა ლეკებმა თავი მაშინ იჩინეს. ამბობენ, ცბიერის ალავერდელის რჩევით ლეკთა მიერ შეწუხებულმა კახელებმა ასე გარდასწყვიტეს: „ლეკნი რომ კახეთს აღარ დაეცნენ ხოლმე, ჩვენივე სარდლები მივცეთ და სხვა მხარეებს გაუსიოთ ასაკლებათაო“...

მალე კახელ სარდლების ბელადობით დიდი ჯარი შეგროვდა ლეკისა, გამოვიდნენ ყარაიაზედ მტკვარში და დაესხნენ თავს ხუნანს, ბოლნისს, საბარათიანოს, დმანისს და ააოხრეს ქვეყანა. საბარათიანოში მათ შეებრძოლათ ლუარსაბ სპასპეტი, მაგრამ იძლია. ლეკებმა ააოხრეს მთელი ეს მხარე და ამის შემდეგ სულ ასე სჩადიოდნენ... ქართლში ყაენის ბძანებით გამეფდა ბაქარი, ამ დროს მთელს ქციისა და მოშრევნის ხეობას აოხრებდა 8000 ცხენოსანი ლეკი. იმათ წინაამდეგ მეფემ თავისი ბიძა სვიმონი გაჰგზავნა ჯარით. მაგრამ ქართველნი დამარცხდნენ და ლეკებმა მარნეულამდე სდიეს... აი, ამ გვარმა ომებმა მოაოხრა ეს ქვეყანა და მომუსრა მკვიდრნი... წინად, ამბობს ქართული მატიანე, ეს მხარე ჰყვაოდაო, აი, თუნდა „624 წელს სამეძნეთის მეფე ირაკლიმ დაიმეგობრა ქართველები; მათთან ერთად დაამარცხა სპარსეთი და ამის შემდეგ საქართველოს რომ ესტუმრა: გაიარა გარდაბანი, ბერდუჯი, ლალი, ააშენა აქ მრავალი ეკკლესიანი... ბერდუჯის ერისთავი ვარაზ-გაგელი სომხობიდგან მართლ-მადიდებლობაზედ მოაქციაო“ და სხ..—აი ასეთ ნაოხარს წარმოადგენს ეს ოდესმე საქართველოს მშვენიერი მხარე. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ქართველთ სახელწოდებანი ჯერ არ მოსპობილა.

როცა ქართველს სახლი ეწოდა, მაშინ ათასი ითბობდა ხელს. ამ მშვენიერ მხარესაც ასე სჭირვია. ვინ საიდგან არ მოსულა და არ დასახლებულა ამ ნანგრევებზედ კუჭის გასაძღომად, ხელის მოსათბობად... ჯანაბას, ისეც ჰქმნან, მაგრამ იცოდნენ მაინც, ვის ნაოხრებზედ სცხოვრობენ, ნაშთებს მაინც ნუ ანადგურებენ!.. მაინც ვინც რა უნდა ჰქმნას, ყველაფერი მას გეუბნება და გიმღერს:

„აქ გმირულადა ჩაღვრილა სისხლი მამა და პაპისა,
აუარებლად ტრიალებს მათ ხსოვნა ჩვენსა მამულში,
ვითა მნათობი ვარსკვლავი ბნელსა მოფენილ ღამეში“...

ცხოველია ქართველი ერი, ცხოველნი არიან მისნი ნასწავლნი და განვითარებულნი შვილნი!..

ესენი არავის მისცემენ ნებას ქართველების მაჩვენებელ საბუთების შელახვისას...ამ მივიწყებულ მხარეს, იმედია, ჩემი მცირე მოგონების შემდეგ, მხნედ გამოიკვლევენ და ბევრს რასმეს იპოვნიან საგულისხმოს და ქართულ მატიანის გასანათებელს...

მღ. ზაქარია გულისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროს ჩემის სადგომიდგან ვილაც ბოროტ-გამზრახველს მოუპარავს ზინგერის საკერავი მაშინა № 14697978. ქურდის აღმოსაჩენად საჭირო ზომები იქმნა მიღებული. ეჭვი არავისზედ არა აქვთ.

** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოში მომხდარ საჯარო ვაჭრობით ტფილისიდგან თელავამდის ფოსტის გზა იჯარით ვილაც აბაევს აუღია.

## წერილი პარიჟიდგან

($^{14}/_{27}$ ივლისი)

ქართველს მკითხველს მოეხსენება, რომ წელს პარიჟის მსოფლიო გამოფენაში მიიღო პირველად მონაწილეობა ქართველმა საზოგადოებამაც და, რასაკვირველია, საინტერესოა, რამდენად და როგორ განხორციელდა ეს პირველი ჩვენი გამოსვლა მსოფლიო სამრეწველო სცენაზედ. გავახსენებთ ჯერ მოკლედ ისტორიას ამ ახალი საქმისას ჩვენში. როცა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პარიჟში 1900 წ. იმართება მსოფლიო გამოფენაო, ჩვენის თავად აზნაურობის ერთმა წევრმა, წარმომადგენელმა უძველესის გვარისამ საქართველოში, ბ-ნ რაფიელ პეტრეს ძე ისარლიშვილმა ითავა და როგორც გაზეთის საშუალებით, აგრეთვე ცალკე ნაბეჭდის მოწოდებით განმარტა, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ერისთვის ამ გამოფენაში ჯეროვან მონაწილეობის მიღებას. საჭიროება ამგვარად ქართველთა სახელის გამოქვეყნებისა შეგნებულ იქმნა ბ-ნ ისარლიშვილის თაოსნობით. ტფილისში შესდგა პატარა კომიტეტი ამ საქმის მოსაწყობად. თავადის ლევან ჯანდიერის და ალექსანდრე ბაქრაძის დახმარებით ამ კომიტეტმა გახსნა ტფილისში ბიურო, რომელმაც ითავა ექსპონატების შეკრება პარიჟში გასაგზავნად. როგორც ყოველნაირს ჩვენს განზრახვას დაბრკოლებას უწევს ქონებრივი ხელმოკლეობა, აქაც ამავე მიზეზით ვერ მოხერხდა პარიჟში ცალკე ქართულ ფარდულის აშენება და იმ ცოტაოდენის სახსრით, რომელიც ჩვენმა ბანკებმა აღმოუჩინეს დასახელებულ მოთავეთ, გადაწყვეტილ იქმნა მოხერხებულიყო რაიმე ჩვენი მონაწილეობა კავკასიის განყოფილებაში. ხოლო კავკასიის განყოფილება პარიჟის გამოფენაში დააწყესა რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომელსაც აზრად ჰქონდა წარუდგინა კავკასია უცხოელთათვის მხოლოდ ეთნოგრაფიულის მხრივ. უფროსად ამ განყოფილებისა დანიშნულ იქმნა კ. ვ. ნიკოლაევსკი, ვითარცა წარმომადგენელი გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტისა, და მოსაწყობად გაიგზავნა კავკასიის მუზეუმის დირექტორი გ. რადდე. ამ კავკასიის განყოფილებაში ნებართვით უნდა გამოფენილიყო ქართული ექსპონატებიც, რომელნიც თებერვალში გამოიგზავნა პარიჟში. თან ამათ მოჰყვა მარტის დამდეგს ბ-ნი ისარლიშვილი, როგორც ქართველ მემამულეთა წარმომადგენელი და აგრეთვე ვითარცა თანამოზიარე რუსეთის ფინანსთა მინისტრის კომისართან პარიჟში.

კავკასიის განყოფილება მიკედლებულია ციმბირისა და თურქესტანის ნაწილებთან და მოთავსებულია ეგრედ წოდებულს ტროკადეროში. კავკასია, ციმბირი და თურქესტანის შენობა ერთად წარმოადგენს მოსკოვის კრემლს. ადგილი მეტად პატარა და მოუხერხებელია. ჩაივლით რა ქვითკირის კიბეს, შედიხართ დარბაზში, რომლის დიდი სვეტები გადატანილის თლით გაკეთებულია ძველის ქართული ხუროთ-მოძღვრების გემოზედ. ამ სვეტების უკან მარჯვნივ მოსჩანს კედელზედ მშვენიერი სურათი, რომელიც წარმოადგენს კავკასიის მთებს, თოვლით შემოსილს. იგი დაუხატავს რუსეთის გამოჩენილს მხატვარს ბ-ნს კაროვინს. ამ სურათის ქვემოთ დალაგებულია ვიტრინები სხვა-და-სხვა კოლლექციებით ქართველის ექსპონატებისა, აქ ჰნახავთ იმერეთში ნაკეთებ დანებს, მასრებს, მათრახებს, ხანჯლებს, გიშრის კრიალოსნებს, სამაჯურებს და სხვ. ამათ მოჰყვება სოფ. კუხის მეაბრეშუმეთა საზოგადოების ნაკეთები, აბრეშუმის პარკები, ძაფები, ზონრები, ცხვირსახოცები, თავშლები, სხვა-და-სხვა ფარჩები. აგრეთვე ოზურგეთის „შუამავლის“ ნაკეთები. მეორე მხარეს ქუთაისის მაზრის შალები, ხონის და ონის ნაბდები, ოზურგეთის მაზრის მემამულის ვარლამ გოგიბერიძის თამბაქო, შავი ქვის ნიმუშები და რუკა შავი ქვისა ქუთაისის მემამულისა თ. სოლომონ წერეთლისა, ღვინოები „კახეთის საზოგადოებისა“, სესიევისა და ფიროდონოვისა, ბორჯომის და ესენტუკის წყლები, ნიმუშები მატყლისა, ხორბლისა, ქერისა, სიმინდისა, ლობიოსი და სხვ.

მიმსვლელთა ყურადღებას იქცევს ამ დარბაზში მშვენიერი მოდელი ლამაზის თავ-დახურულ ქართველ ქალისა. იგი ფეხზედ სდგას, ერთი ხელი მაღლა აუწევია, თითქოს ლეკურის დასავლელად მომზადებულაო, აცვია თეთრი ფარჩის კაბა თეთრის ფარჩის ოქრო-მკედით მოქარგულ გულისპირით, სარტყლით და თავსაკრავით. იმის სიკეკლუცე და სინარნარე აჩერებს შემსვლელს და უნებლიედ ათქმევინებს „jolie femme“ — ლამაზი ქალიაო.

დარბაზის მეორე მხრივ ბ-ნ რადდეს დაუყენებია ვილაც ჩაჩანი და გასავლის კარებთან ორი მთიელი — ქალი და კაცი. ამ დარბაზშივე ჰნახავთ რაჭველს ტიკით ზურგზედ და ლეკს თავის ბოხოხა ქუდით. დარბაზის შუა გულს გაწყობილია ნიმუშები სხვა-და-სხვა მადნებისა (თითბრისა, რკინისა და სხ.), ლითოგრაფიის ქვისა თ. დავით ბარათაშვილისა და სხ. გაფენილია რუკები, კავკასიის სურათები, წიგნები და ალბომები, ამათ რიცხვში: სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გ. ქართველიშვილის გამოცემული, ი. გოგებაშვილის წიგნები, ალბომი ქართველთა ტიპებისა, ჟურნალ-გაზეთებისა, ხუროთ-მოძღვრებისა და სხვ. ფრანგულის ზეწარწერით („ქართველ მემამულეთა წარმოდგენილი“ ქართული წიგნი, ანუ ალბომი და სხვ.) კედლები შემკობილია ხალიჩებით, რომელთა რიცხვში შესანიშნავია კნ. ქ.; აგრეთვე ერთი დიდი ხალი, მეორე მომცრო და მესამე აბრეშუმით ნაქსოვი. არის აგრეთვე ქართველთა სოფლებში ნაქსოვებიც.

რადგანაც ადგილი ცოტა დაგვითმეს, ამისა გამო ხე-ტყის კოლლექცია გაწყობილია თურქესტანის განყოფილებაში. აქ შეხვდებით ღვინოებს, ძმათა ნობელის სანავთო დარბაზში ქართულს ხალიჩებს და პაპოვის ჩაის, მოყვანილს ბათუმის მაზრაში. ამ ექსპონატებს აწერია Association desproprietaires georgieus — ქართველ მემამულეთა საზოგადოება. ამ ჩვენს განყოფილებას ათვალიერებენ, გარდა საზოგადო მომსვლელისა, უმაღლესნი კაცნიც, მინისტრები, მეცნიერნი და თვით პრეზიდენტი ლუბეც ბრძანდებოდა. ბ-ნი ისარლიშვილი უხვდება ამათ და შეგნებულს ცნობებს აძლევს ჩვენს ქვეყანაზედ. როგორც გამოგზავნილი რუსეთის მინისტრისაგან, იგი ოფიციალურად მიწვეულია ხოლმე სხვა და სხვა საქმისა გამო ქართველ მემამულეთა წარმომადგენლად. ბ-ნი ისარლიშვილი ცდილობს ეს ჩვენი მონაწილეობა გამოფენაში დააგვირგვინოს ფრანგულს ენაზედ გამოცემულის „ცნობათა კრებულით საქართველოს შესახებ“, პარიჟში მას მოუწყვია დროებითი ბიურო, სადაც ჩვენის მრეწველობის შესახებ პირადად და წერილობით მიჰმართვენ მსურველნი (Paris, Rue des écoles). დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ისარლიშვილი, რომ მან მცირე სახსრით და დიდის თავდადებით ჩაადგმევინა ფეხი ჩვენს საზოგადოებას მსოფლიო გამოფენაში. ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად გაიცნეს ჩვენი ქვეყანა და ეს შეიძლება გახდეს ჩვენის ეკონომიურის და სხვაფრივი გაუმჯობესობის ახალს ნაბიჯად.

ა. ხახანაშვილი

# უცხოეთი

**ჩინეთი.** ადმირალი სეიმური ამას წინად შანხაიში იყო. ადმირალმა იქ დაათვალიერა ინგლისის ესკადრა. როგორც გაზეთებს ატყობინებენ, ამის შემდეგ ნანკინსა, შანხაისა და პეკინს შორის ჩინელებმა მიწერ-მოწერა გამართეს და საჩქაროდ შეუდგნენ ჯარის მზადებას. ნანკინში და შანხაიში დიდძალი ჯარი იკრიბება თურმე. მახლობელს ადგილებიდგან ყოველ დღე მოდიან და მოდიან რაზმები. ამასთან ჩინელები გულ-მოდგინედ შეუდგნენ კიანგინის, მონდისა და ვოოსუნგის სიმაგრეებს შეკეთებასა და ახალის ზარბაზნების დადგმას. ნანკინის ქუჩებში განცხადებები გააკრეს უცხო-ქვეყნელთა ამოწყვეტის შესახებ. ამ მომზადებებსა და განცხადებებს ძალიან დაუშინებიათ უცხო ქვეყნელნი. ისინი უკვე ნანკინიდგან მიდიან სხვა უფრო უშიშარ ადგილებში.

— გაზეთ „Times“-ს შანხაელი კორესპონდენტი ატყობინებს, რომ ამ ჟამად გენერლები ლიპინგხენგი და ლიუ-ხუანდისი თავიანთის ჯარებით პეკინისაკენ მიეშურებიანო. ორივე ეს გენერალი დიდი წინააღმდეგნი ყოფილან უცხო-ქვეყნელთა. გზაში მათ რამდენიმე მისსია უკვე დაუქცევიათ და ქრისტიანებიც ამოუწყვეტიათ.

— „Daily exprees“-ს ჩიფუდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ამ დღეებში იაპონიის მეორე დივიზია მოვა ტაკუში და მაშინ მოკავშირეთ ტაკუსა და ტიან-ძინში სულ 70,000 ჯარისკაცი ეყოლებათ. ინგლისელებსა და იაპონელებს გადაუწყვეტიათ ეხლა გაუდგნენ სალაშქროდ პეკინისაკენ. იმავე კორესპონდენტის სიტყვით რუსეთის ჯარი ჩრდილოეთიდგან 150 მილით მიუახლოვდა თურმე პეკინს. საიმპერატორო ჯარი და მოკრივენი სამხრეთიდგან პეკინს მიეშურებიან. ამბობენ, ჩინეთის მთავრობას აზრადა აქვს შანსის პროვინციის ქალაქ სიანფუში გადავიდეს და იქიდგან დაიწყოს მოქმედება სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

— გონკონგში ამბად მისულა, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ჩინელი ყაჩაღები გაჩნდნენო. ამ ყაჩაღთა გემები სავაჭრო გემებს აღარ ატარებენ თურმე ზღვაში. იაპონიის მცხოვრებსა და ადმირალს სეიმურს გადაუწყვეტიათ, თითო სამხედრო ხომალდი გაგზავნონ ამ ზღვაში.

— მდინარის იან-ძეს მიდამოებში (ეს ადგილი ყველა სხვა ადგილზედ უფრო მჭიდროდ არის დასახლებული) დღემდის აჯანყებას თავი არ უჩენია, მაგრამ, როგორც ინგლისურის გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, ამ ადგილებშიაც ჩინელი მოხელენი კარგა ხანია მზადებას შეუდგნენ. გუბერნატორები ახალგაზდებსა ჰკრეფავენ, ჯარში ამწესებენ და სწრთვნიან. შანხაის თოფხანიდგან ატარებენ თოფ-ზარბაზნებს და ტყვია-წამალი მიაქვთ თურმე ყოველ დღე იანცე-კიანგის ნაპირებზედ მდებარე ქალაქებში. ჩინელი მოხელეები ამბობენ, რომ ამ მზადებას ამბოხების ჩასაქრობად შეუდგნენ. მაგრამ ნამდვილად-კი უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ ემზადებიან თურმე.

— „Times“ მა თავისს პეკინელ კორესპონდენტისაგან დეპეშა მიიღო. კორესპონდენტი ატყობინებს გაზეთს, რომ სელჩოებს მოკრივენი კი არა, როგორც ევროპაში ჰგონიათ, საიმპერატორო ჯარი შემოერტყა, გენერალის იუნგლუს უფროსობით, იმ გენერლისა, რომელსაც დღემდის ევროპიელთა მომხრეთ სთვლიდნენ. ამასთან იმპერატორის ბრძანებებში ყოველთვის ქებით იხსენიებდნენ მოკრივეებს და აქეზებდნენ სელჩოების ასაკლებადაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ქალაქ ანტვერპენს აუარებელი კრიჭინა შესევია. ეს მწერები აღმოსავლეთიდგან დასავლეთისაკენ მიფრინავდნენ თურმე. რადგანაც სულ 1—2 არშინის სიმაღლეზედ მიფრინავდნენ, გამვლელ-გამომვლელთ სახესა და ტანზედ ჰხვდებოდნენ და ძირსა ჰსცვივოდნენ. ზოგან ქუჩაში იმდენი კრიჭინა ეყარა, რომ ეტლებს უჭირდათ თურმე გავლა. პირველად კრიჭინებისთვის დილის 7 საათზედ მოუკრავთ თვალი, ხოლო 9 საათზედ მთელი მილიარდები გამოჩნდა. 11 საათზედ ქალაქს განშორებიან და მდინარე შელდას გადაფრენილან. ბევრი ამ მდინარეში დაღუპულა. ზოგნი მეცნიერნი ჰფიქრობენ, რომ ეს მწერები ჰოლანდიიდგან ან ვესტფალიიდგან გასდგომიან გზას, მიზეზი იმათის აბარგებისა ვერ გამოუკვლევიათ; ვერ გაუგიათ აგრეთვე ის, საიდგან გაჩნდა ამდენი კრიჭინა.

* * *

სამხრეთ აფრიკაში ინგლისელები და ჰოლანდიელნი მარტო იარაღით არ იბრძვიან, ამ ჟამად იქ ეკონომიურ ნიადაგზედაც ცხარე ბრძოლაა. აფრიკანდერებმა, გაჯავრებულებმა იმით, რომ ინგლისელები ბურების ორს რესპუბლიკას დამოუკიდებლობას უსპობენ, გადასწყვიტეს, აღარ იყიდონ ინგლისელებისაგან საქონელი და აღარაფერი ივაჭრონ ინგლისელთა მაღაზიებში. ამისათვის აფრიკანდერებმა თვით დამართეს დიდძალი მაღაზიები. ზარალი ამის გამო დიდი აქვთ თურმე ინგლისელებს. მაგრამ არც ინგლისელები არიან გულხელ დაკრეფილნი, იმათ კიდევ დაითხოვეს სამსახურიდგან თითქმის ყველა ჰოლანდიელნი. ამას გარდა ინგლისელებს დიდი იმედი აქვთ თვით ბუნებისა, რომელიც ერთხელაც იქმნება ჩვენკენ მოიხედავს და აფრიკანდერების ხელთ ჩასაგდებად მხარს დაგვიჭერსო, ამბობენ ინგლისელები. ინგლისელები ამ შემთხვევაში სამხრეთ-აფრიკისათვის მოუსავლობას, საქონლის ჭირის გაჩენას, კალიის შემოსევას ან სხვა ამგვარ რასმეს ნატრობენ. ხოლო ნატრობენ ამას აი რადა: დღეს სამხრეთ-აფრიკის მიწა-ადგილი თითქმის მთლად აფრიკანდერების ხელშია, სამაგიეროდ სამოქმედო თანხისა და საზოგადოდ ფულის პატრონნი ინგლისელნი არიან. ამის გამო ინგლისელები ჰფიქრობენ, ერთ-ერთი ზემოდ ჩამოთვლილ უბედურებათაგანი რომ გაჩნდეს, აფრიკანდერები, რომელთაც დიდი ფული ჰმართებთ ინგლისელებისა, ვეღარ შესძლებენ სარგებლის გადახდას და მაშინ ადვილი საქმე იქნება იმათის მამულების აღწერა და ხელში ჩაგდება. ინგლისელებს აზრადა აქვთ აფრიკანდერების მაგივრად ამ მამულებზედ ნემენცები დაასახლონ. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ინგლისელები ნემენცების დასახლებას აპირობენ და არა თავისივე ხალხის ინგლისელებისას.

* * *

ამერიკაში ამას წინად ჯვარი დაუწერიათ 98 წლის ქალს დრეკორსა და 75 წლის კაცს სამუელს. საყურადღებო აქ ის არის თურმე, რომ დრეკორი დიდ ხანს იწუნებდა სანეფოს და ამბობდა, მე თუმცა მაგაზედ ხნიერი ვარ, მაგრამ უფრო ახალგაზდად გამოვიყურები, უფრო მხნე და ჯანიანი ვარ, ამიტომ იმედი მაქვს ახალგაზდა ქმარს ვიშოვიო. სამუელს ძლივს მოულბია თურმე დრეკორის გული: იგი ყოველ დღე დადიოდა დრეკორთან და უცხადებდა სიყვარულს. „ახალგაზდებს“ ქორწილი სოფელში გადუხდიათ. აქვთ ცოლ-ქმარს ცოტაოდენი მიწა, პატარა ბაღი, ხის სახლი და ერთი კარგი, მსუქანი ძროხაცა ჰყავთ. ქ-ნი დრეკორი 1802 წელს დაიბადა. პირველი ქმარი ამ ქალისა ვინმე პროსტონი ყოფილა. როდესაც პროსტონი გარდაცვლილა, დრეკორი მეორედ გათხოვილა და აი ეხლა მესამედაც გათხოვდა. ზოგი იმასაც ამბობს, „ახალგაზდებს“ ბედნიერი ცხოვრება არ ექმნებათო: ქ-ნ დრეკორს არ უყვარს ქმარი, ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება სხვა ვინმე მოეწონოს და განქორწინება მოითხოვოსო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ივლისი

**პეტერბურგი.** გენერალ მოციევსკის მოხსენება: სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომ იმიერ-ბაიკალიაში ურიოვისა და არგუნის მდინარეების მიდამოებში შეიარაღებულ ჩინელთა ბრბოები გაჩენილიყოს.

18 ივლ. გენერალის სახაროვის ჯარმა მშვიდობით გაიარა 120 ვერსი სანსინის ზემოთ. გზაში ჩინეთის ჯარი არ შეჰხვედრია. შეიპყრეს ჩინელთა სამხედრო ნავი.

**შანხაი.** 24 ივლისს ამერიკის ჯარის პოლკოვნიკმა მიიღო კონჯერისაგან დეპეშა, ჩინელის მიერ მოტანილი, დეპეშაში ნათქვამია: „დაუყოვნებლივ მოგვეშველენით. პეკინში არავითარი მთავრობა არ არის, ჯარის უფროსების გარდა, რომელთაც გადასწყვიტეს უცხო-ქვეყნელთა ამოჟლეტა“.

**შანხაი,** 23 ივლისი. გენერალი გეზლი თხოულობს, რომ საუკეთესო არტილერია გაუგზავნონ. ადმირალმა ბრიუსმა განაცხადა, აფიცრები საკმაო არა მყავსო. იაპონიის მზვერავები ტიან-ძინის სამხრეთ-დასავლეთით წააწყდნენ ჩინეთის დიდ ჯარს, რომელიც ცხენოსან და ქვეითა ჯარისაგან შესდგებოდა. იმავე მზვერავთ მეორე რაზმიც უნახავთ ლუტაის მახლობლად, ტიან-ძინის აღმოსავლეთით.

ლიხუნ-ჩანგმა ითხოვა, ერთი თვე სამსახურიდგან დამითხოვეთო; ძალიან შეაშფოთა ლიხუნ-ჩანგი ძუნგლი-იამენის ორის წევრის სიკვდი-

ლით დასჯამ. ეს წევრები უცხო-ქვეყნელთა მომხრენი იყვნენ.

**პრეტორია.** ბურების მცირე რაზმები ყოველის მხრიდგან ავიწროვებენ ინგლისელებს. რადგანაც მეცხოვნენი სპრინგოდგან წავიდნენ, ეს ქალაქი ისევ ბურებმა დაიჭირეს.

**შანჰაი.** ქინძინში მყოფმა ელჩმა აუკრძალა გემებს მდინარეში სიარული. ამის გამო ჰფიქრობენ, რომ შანჰაიში უცხო ქვეყნელები უნდა გადაიყვანონო. არეულებანი დაიწყო, მაგრამ ინგლისის ელჩმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი არ არის იან-ძეს ნავთსადგურიდგან უცხო ქვეყნელთა გაყვანაო.

**კაპშტადტი.** გარრისმიტი მაკდონალდს დაჰმორჩილდა, ამიტომ მატარებლების მიმოსვლა ნატალთან ადდგენილ იქმნა. 23 ივლისს ცხარე ბრძოლა დაიწყო ელანდსრივერთან, ბრძოლა 24-საც იყო. დაწვრილებით ცნობები არ არის, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ გენერლებმა კარრინგტონმა და გამილტონმა მოახერხეს განთავისუფლება რუსტენბურგის მეციხოვნეთა რაზმისა, რომელიც ეხლა ზეერუსტისაკენ მიდისო.

**კრადოკი.** ფრეიბურგში შაბათს დიდი აღელვება იყო. გაწვეულ იქმნენ ქალაქის დარაჯნი. მოსაშველებელი ჯარი მოდის; ბურები დასაცემად მოემზადნენ.

**პეტერბურგი,** 25 ივლისი. ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის $4\frac{1}{2}\%$ გირავნობის ფურცლებში იძლევიან 86 მან., ქუთაისის—$6\%$-ს—$101\frac{1}{2}$ მან. აფასებენ, ხოლო —$5\%$-ს—$98\frac{1}{2}$ მან.

26 ივლისი.

**პეტერბურგი.** გენერალი ორლოვი 22 ივლისს იუწყება, რომ ხაილარი აღებულ იქმნა. ამასთან ვნახეთ ბევრი ფქვილი, შვრია და სხვა სანოვაგე. წავართვით მტერს აგრეთვე ოთხი დროშა, თოფები და ტყვია-წამალი.

უმაღლესი ბრძანება: „სომეხ გრიგორიანთა ეპისკოპოსს კარნეკერიანცს ებრძანა ყარაბაღის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსად ყოფა. დროებით გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელი გრაფი ლამზდორფი დანიშნულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრად“.

**ბრიუსელი.** შანჰაიში მყოფი ბელგიის ელჩი იუწყება, რომ ლიპინხენი, რომლის პეკინში ყოფნასაც საშიშოდ სთვლიდნენ, პეკინიდგან გამოვიდა პეკინ-ხანკოუს რკინის გზის დასაცველად, რადგანაც იაპონელები თავს დასხმას უპირებენ ამ გზას ტაონგტიფუსთან, რათა ჩინელებს გზა შეუკრან.

ამერიკის ადმირალმა ბრძანება მიიღო 300 ზღვაოსნით ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღოს.

**ლონდონი.** ვულკიჩში ბრძანება გაჰგზავნეს, მზად იქონიონ მრავალი საომარი მასალა.

პრიტჩად-მორგანმა სთხოვა დეპეშით ლიხუნ-ჩანგს, რამდენადაც-კი შეუძლიან ეცადოს, ომის თავიდგან ასაცილებლად, ევროპის ჯარი პეკინში შეუშვან, ხოლო უცხო-ქვეყნელთ ნება მისცენ პეკინიდგან ტიან-ძინში წასვლისა და იქიდგან მოლაპარაკება დაიწყონ. ლიხუნ-ჩანგმა შეუთვალა, რომ ეს შეუძლებელია, და თუ ევროპის ჯარი წინ წავიდა, ჩინელებს ბრძოლა მოუხდებათო.

შანჰაიდგან იუწყებიან, რომ ელჩები და სხვა უცხო-ქვეყნელნი 20 ივლისს პეკინიდგან ტიან-ძინში წავიდნენო.

**ვაშინგტონი.** ტიან-ძინიდგან გენერალ ჩაფფისაგან შემდეგის შინაარსის დეპეშა მოვიდა, 21 ივლისს გამოგზავნილი: „დღეს თათბირზედ გადასწყვიტეს, კვირას ბრძოლას შეუდგნენ. ჩინელები პეიძიანში და იმის აღმოსავლეთითა და დასავლეთით გამაგრდნენ; დანარჩენნი ჩინელნი მიუდგომელ ადგილებში არიან. იაპონელნი, ინგლისელნი და ამერიკელნი, რიცხვით 10,000 კაცი, თავს დაეცნენ მდინარის დასავლეთით ჩინელთა მემარჯვენე ფრთეს, ბრძოლაში სხვა მოკავშირეთა ჯარიც იღებდა მონაწილეობას; ფრანგები და რუსები მეორე მხრიდგან მოქმედებდნენ მდინარისა და რკინის გზის შუაროვორცა სჩანს, ჩინელების პოზიცია მაგარია. ჩინელების ჯარი, როგორც ამბობენ 30,000 კაცი, უნდა იყოს პეიძიანისა და იანდუნის შუა ან იმ ადგილას, სადაც გადასასვლელია მდ. პეიხოზედ, და ეს ჯარი ინძუნზედ მიდისო. ამერიკელებს 2000 ჯარის-კაცი ჰყავთ და ერთი ბატარეია. კავალერიის მე 6 რაზმი ტიან-ძინში რჩება ქალაქის დასაცველად ცხენების მოსვლამდე.

## წერილი რედაქციის მიმართ

სიხარულით ვეგებები იმ აზრს, რომელიც ბატონმა ინ-ანმა გამოსთქვა თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ მე-153 №-ში, რომ ქართველ გაჭირვებულ სტუდენტებისათვის დამხმარებელი საზოგადოება იქმნას დაარსებული. ვინ იცის, იქნება ჩვენს საქვეყნო საქმეს ამითი მაინც არის ეშველოს რამე, თორემ ცალკ-ცალკეობა და ერთმანეთის გაჭირვების არ თანაგრძნობა ჩვენს სიღარიბესთან ერთად მხოლოდ საკუთარის ხელით ყელის ჭრაა. ვგზავნი რა მომავალს საწევრო ფულს სამს მანეთს, ვსთხოვ რედაქციას ამ საზოგადოების მუდმივ წევრად მიგულოს.

ონის სამაზრო ხაზინის ხაზინადარი ალექსანდრე ფარსადანის ძე ხაინდრავა

ჩვენდამი რწმუნებულ ყვირილის სამკითხველოს სასარგებლოდ მივიღეთ შემოწირულებანი:

1) ქ. ალექსანდრა გვარამაძისაგან, ქ. ფოთში შეგროვილი: ა. კაუხჩევმა 2 მ.; თითო მანეთი;—დესპინა მდივნისამ, ივანე ლოპატმა, ი. გულაძემ, ა. ავგერინომ, ა. გვარამაძისამ; ათ-ათი შაური:—ოლღა გეგელაშვილისამ, ა. ახობაძემ და ა. მუსტაკოვმა, სულ—8 მ. 35 კ.

2) ბ. ნიკოლოზ გრ. ღლონტისაგან, ქ. ბათუმში შეგროვილი: გ. ნაზაროვმა 2 მ.; თითო მანეთი: ხ. მელიანცმა, ნიკოლოზ ღლონტმა, ანტონ მუჯირმა, ივანე იმანიძემ, ნიკოლოზ ჭავჭანიძემ. ა. ბახტაძემ, ვარლამ ებრალიძემ, სერგო იმანიძემ და ივანე აბრამიძემ; ათ-ათი შაური: ლევანტი ხუნგიამ, მელიტონ ჯანაშიამ, კატო დოლიძემ, ერასტო გოგუაძემ, ბიქტორ ხოშტარიამ და ბართლომე წილოსანმა, სულ—14 მან.

3) გარსევან რატიანისაგან, ტფილისში შეგროვილი. წიგნებად, ი. ლექვასაგან სამი მანეთისა; ფულად თითო მანეთი: გარსევან რატიანმა, ნესტორ რატიანმა, გიორგი აბელაძემ, ილია ხარაევმა, ი. გველესიანმა, ალექსანდრე არდაზიანმა, ივანე მაისურაძემ და იოსებ კოლელიშვილმა; ათ-ათი შაური: სვიმონ გოლაშვილმა, გიორგი ლაზარევმა, ილიკო მამალაშვილმა, ისააკ ბედიანიძემ, ერასტი ჭავჭანიძემ; თითო აბაზი: გიორგი ჯმუხაძემ, დ. ჯმუხაძემ, მიხეილ ჯავხ..., გიორგი ყ., და იაგორ მირ... სულ 14 მ. 50 კ.

4) შიო თავართქილაძესაგან, ოზურგეთში შეგროვილი: შ. თავართქილაძემ წიგნებად 2 მან. 50 კ.; ფულად ნიკო თუთბერიძემ 1 მან.; ათ-ათი შაური: იოსებ ჩხეიძემ, ვლადიმერ შავარდნაძემ, გიორგი გამზარდიამ, პეხუ გვიჩიამ, ფუხურია ჟვანიამ, არსენ ცხაკაიამ, გიორგი წივწივაძემ, არს. წითლიძემ; პ. ლორთქიფანიძემ—35 კ., დიაკონმა თედორე წულეისკირმ 30 კ., პავლე შანავამ—30 კ. პელ. კინწორეიშვილმა—25 კ., ესტატე ბანძალაძემ—25 კ.; თითო აბაზი: დ. პ., ალექსი ცანავამ, ჯოკია გაწერელიამ, მიხეილ ფულარიამ, ირაკლი კალანდარიშვილმა, №. №., ტრიფონ კალანდარიშვილმა, გიორგი ჯავახიამ, ყორფმა, პახუ მაღნარაძემ, ერმალო ქეიშვილმა, ალექსი სალარეიშვილმა, მასწავლებელმა იოსებ დადიამ, მიხა ქანტურიამ და ლუკა კალანდაძემ; ორ-ორი შაური: ვ. გეგეჭკორიმ, აგრაფ. ქავთარაძემ, სამსონ ჩიქოვანმა, ვინმემ, ნიკიფორე ბარაბაძემ; თითო შაური —ბესა თათეიშვილმა (გლახამ), ქეთომ, ვინმემ და ვინმემ. სულ 12 მ. 65 კ.

5) დავით ტყეშელაშვილისაგან, ქუთაისში შეგროვილი: ათ ათი შაური:—ნესტორ მორჩაძემ, არსენ ყუბანეიშვილმა, ნოე ნაფეტვარიძემ; მეთოდე ჯანგავაძემ, გიორგი გურგენიძემ, ივანე ბექაიამ, მიხეილ ჭავჭანიძემ, ივანე ასათიანმა; ზაქარია ბუხულოვმა—40 კ., მიხეილ ყუფარაძემ —30 კ., ერმალო ხ... 30 კ., მიხეილ ხონელიძემ —30 კ.; თითო აბაზი: იონა ქილავამ, სიმონ არსენიძემ, ფილიპე გენგეშიამ, მელიტონ რუსაძემ, ილარიონ ჯოხაძემ; სულ—6 მან. 50 კ.

6) ილარიონ ქანტურიასაგან, ხაშურში კონდუქტორთა შორის შეგროვილი: ი. ქანტურიამ 50 კ.; თითო-აბაზი: —ტერენტი მაჭავარიანმა, იოსებ მირზაშვილმა, თედორე ხაჩიძემ, კ. ხუხუნავამ, პ. ყიფშიძემ, ნიკ. ქურდაძემ, მაჭავარიანმა, ლომიძემ, გიორგი მამიშვილმა, სამთელაძემ, თედ. ჩოჩიშვილმა; ორ-ორი შაური: — პეტრე მეტრეველმა, ბალაკაძემ, ბედიაშვილმა, მ. ულუმბელაშვილმა, ებანოიძემ, ბაბუნაშვილმა, აფანასი ლექავამ, ივანე კვერნაძემ, იორდანე ქობულიანმა, პეტრე დეკანოიძემ, ალექსი დევდარიკმა, ებანოიძემ, დვალიშვილმა, ნამიჩეიშვილმა, ტიმოთე სამთელაძემ, ილაკრი კოხრკიძემ, იგნ. ბასილაიამ, ვ. დაპერაშვილმა, ანტ. როგავამ, ლ. ესებუამ, გახაშვილმა, კონსტ. ლექავამ, ილიკო კვირკვაიამ, და ალხაზიშვილმა 5 კაპ. სულ 5 მანეთი.

შემომწირველთ დიდს მადლობას უძღვნით.

ყვირილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე წევრნი
ივანე არდიშვილი
ილია მაღლაკელიძე

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

ბ

ბაბაწრვა—ქურდის ხელში ჩაგდება, დაჭერა, გათოკვა. ქართ.

ბადაოგნებული—დაჩლუნგებული. ფშ.

ბაზები—ფრინველთ კლანჭები ან საქონლის ფეხები. ფშ.

ბალაღება—გახარება. ფშ.

ბალო—ტვლივი. ფშ. დიდი ნაჭერი ბარკლისა.

ბამორეხვა—გატყეპა და გამოგდება. ფშ.

ბარდით კითხვა ამბისა—ისე რომ ეჭვი ვერავინ აიღოს, თუ რათა კითხულობს. ფშ.

ბარჯულება—უწესო წესის ქმნა.

ბამხანებელი გზასა—გზის ადრე გამვლელი, ფეხმარდი. გამხანებელი საქმისა—ბარაქიანი მუშა. ფშ.

ბასხვაპურება—სხვა და სხვაზედ გადაცმა გადავება. ქართ.

ბაძირება ერბოსი—გადადნობა ერბოსი. ფშ.

ბაძირებული ერბო—გადამდნარი ერბო. ფშ.

ბაჭირდიდება—გაზვიადება. ფშ.

ბაწრიოკებული—გაწვრილებული, გაბეჩავებული. ქართ.

ბახერება—უძრავად დადგომა. ფშ. გაშეშება.

ბველის რქა—ხუთო, გაჰლესენ წყალში და გველისგან ნაკბენს წაუსმენ, ან დაალევინებენ.

ბლუვი—ტლუ. ფშ.

ბორგურიანი—გორებიანი. ფშ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 160.

# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან:

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკანსია (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 10 ვაკან. (8 და 9 წლ. ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 60 ვაკანსიიდგან 56 არის დანიშნული გარედგან მოსიარულეებისათვის, ორი საზოგადოების სრულ ხარჯზე და ორიც ნახევარ ხარჯზე.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულედ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა დამფუძნებლობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი დაშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანისობ შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფული დარჩენილი, იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი—შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

9) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-დის.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ, въ д. Селикова.

10) აგვისტოს, 26 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ს მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქმნებიან მიღებულნი აგრეთვე ის პანსიონერები, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1900—1901 წლის სასწავლო ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს როგორც ფულის თავის დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც.


# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო მეცნიერება, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და მშვენიერი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—133—10)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე